

სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა



აიპ მშობლები განათლებისთვის

2020 წელი

შინაარსი

კვლევის შესახებ..... 5

 ზოგადი ინფორმაცია:..... 5

კვლევის მიზნები და მიმართულებები: 5

კვლევის აქტუალობა 6

ლიტერატურისა და არსებული გამოცდილების მიმოხილვა 8

კვლევის მეთოდოლოგია 13

 1. მონაწილე საჯარო სკოლებისა და მშობლების ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზი..... 13

 2. ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში 13

 3. ჩადრმავებული ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან 14

 4. მონაწილე სკოლების მშობელთა ანკეტირება..... 15

კვლევის პროცედურები 16

კვლევაში მონაწილეები 16

კვლევის ინსტრუმენტები..... 18

კვლევის შედეგები..... 19

 მშობლების ფორმალური უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა..... 19

 მონაწილე საჯარო სკოლებისა და მშობლების ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტები..... 19

 ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში 23

 ჩადრმავებული ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან 25

 მონაწილე სკოლების მშობელთა ანკეტირება..... 25

 მშობელთა ჩართულობის რეალური პრაქტიკა 29

 ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში 29

 ჩადრმავებული ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან 30

 მონაწილე სკოლების მშობელთა ანკეტირება..... 30

 მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის პრაქტიკა..... 33


 ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში 33

 ჩადრმავებული ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან 33

 მონაწილე სკოლების მშობელთა ანკეტირება..... 34

მშობლებთან კომუნიკაციის ფორმები და შინაარსი 36

მონაწილე საჯარო სკოლებისა და მშობლების ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტები	36
ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში	36
ჩადრმავებელი ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან	38
მონაწილე სკოლების მშობელთა ანკეტირება.....	40
დასკვნები და რეკომენდაციები	46



კვლევის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია:

პროექტის სახელწოდება	მშობელთა სკოლაში ჩართულობის პრაქტიკის კვლევა
პროექტის დაწყების პერიოდი	ოქტომბერი. 2020წ.
პროექტის მიმდინარეობის ხანგრძლივობა	ოქტომბერი- ნოემბერი. 2020წ.
პროექტის ბენეფიციარები	მშობლები, კლასის დამრიგებლები, სკოლის დირექტორები
პროექტის განხორციელების ადგილი	3 საჯარო სკოლა: დიდი ქალაქის სკოლა A (1939 მოსწავლე), მცირე ქალაქის სკოლა B (585 მოსწავლე) და სოფლის სკოლა C (362 მოსწავლე)
პროექტში მონაწილეების რაოდენობა	61 მონაწილე (6 ფოკუს ჯგუფი), 3 მონაწილე (ჩაღრმავებული ინტერვიუ), 970 მონაწილე (ანკეტირება)
პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდი	ააიპ მშობლები განათლებისთვის: გიორგი გახელაძე და როზა დევნოზაშვილი
პროექტის პარტნიორი	კონრად ადენაუერის ფონდი

კვლევის მიზნები და მიმართულებები:

კვლევის მიზანია, პროექტში მონაწილე სამი სხვადასხვა ტიპური სკოლის მაგალითზე, საქართველოს საჯარო სკოლებში მშობელთა დემოკრატიული ჩართულობის მასშტაბისა და ხარისხის შესწავლის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება მშობლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სისტემის სხვადასხვა დონის მმართველებისთვის.

კვლევის ამოცანაა მშობელთა სკოლაში ჩართულობის პრაქტიკის კვლევა შემდეგი მიმართულებებით:

1. მშობლების ფორმალური უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა
2. მშობელთა ჩართულობის რეალური პრაქტიკა
3. მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის პრაქტიკა
4. მშობლებთან კომუნიკაციის ფორმები და შინაარსი.

კვლევის აქტუალობა

წინამდებარე კვლევის აქტუალობა განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით. ამ თავში მიმოვიხილავთ სამ ძირითად მიზეზს.

უპირველეს ყოვლისა, განათლების მკვლევარები მსოფლიოში უფრო მეტად შეისწავლიან ბავშვის აკადემიურ და სოციალურ განვითარებაში მშობელთა მონაწილეობის გავლენას (Maša Đurišić*, Mila Bunijevac 2017). 30-40 წლის წინათ მეტი ყურადღება ექცეოდა შვილების განათლებაში მშობელთა მონაწილეობისა და ჩართულობის მოდელების შესწავლას. ბოლო 20 წლის განმავლობაში იმატა კვლევებმა, რომლებიც კონკრეტულად და რაოდენობრივად შეისწავლიან მშობელთა ჩართულობის გავლენას მოსწავლეთა განათლების ხარისხზე. შესაბამისად, უკვე არსებობს ბავშვების სასწავლო მიღწევებზე მშობელთა ჩართულობის დადებითი გავლენის კონკრეტული მტკიცებულებები. მაგალითად, მშობელთა აქტიური ჩართულობა შვილების განათლებაში, სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში, 12%-ით ზრდის მოსწავლეთა წარმატებებს რაოდენობრივ აზროვნებაში (Araceli Martinez, 2015). ბევრად მეტი კვლევითი მტკიცებულებები არსებობს მოსწავლის სოციალურ განვითარებასთან მშობელთა სასკოლო ჩართულობის დადებითი კავშირის შესახებ. თუმცა, აღსანიშნავია ასეთი მეცნიერულად გამოკვლეული მტკიცებულებების უკიდურესი სიმცირე საქართველოში. მშობლის ჩართულობის ხარისხი, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია თავად სკოლის მიერ ამ მიზნით გაწეულ ძალისხმევაზე (Hoover-Dempsey and Sandler, 1997). ხოლო სკოლის მოტივაციასა და შესაძლებლობებს მშობლებთან პარტნიორული ურთიერთობების კუთხით, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სკოლის მართვის სისტემა.

მეორე მიზეზი იყო მშობელთა სასკოლო ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ მოსაზრებათა სხვადასხვაობა და კვლევაზე დაფუძნებული მტკიცებულებების სიმწირე. ამ დროს, საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით ზოგადი განათლების შესახებ მშობელთა უფლებები ზოგადი განათლების სფეროში ფართოდ არის წარმოდგენილი. თუმცა, ამ უფლებების უმეტესი ნაწილის რეალიზაცია მინდობილია სკოლების ავტონომიურ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, ამ კუთხით სასკოლო პრაქტიკის შესწავლა აქტუალურია. ამასთან, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები, ძირითადად, ბავშვების სოციალურ განვითარებას უკავშირდება (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005). დასახული მიზნების მისაღწევად, ამავე კანონით, სახელმწიფო

უნდა უზრუნველყოფდეს „ზოგადი განათლების ღიაობას“, ინკლუზიურობასა და სკოლის ავტონომიურობას. მშობელთა ფართო და მრავალფეროვანი ჩართულობის აუცილებლობა ასახულია ჩვენი სასკოლო სისტემის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პოლიტიკურ დოკუმენტში „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესახებ“ (2004). ამ დოკუმენტსა და კანონში იდენტურად არის აღწერილი ის ძირითადი სამიზნე უნარ-ჩვევები, რაც მოზარდს უნდა განუვითარდეს სასკოლო გამოცდილებით. ხოლო მიზნების მისაღწევი ძირითადი საშუალებების აღწერისას ნათქვამია, რომ: „ამ ჩვევების გამომუშავება უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს სრული ჩართვით: მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრატორებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით ისეთ განსხვავებულ პირობებში, როგორცაა გამოცდები თუ არჩევნები, საკლასო ოთახი თუ სახლი, კლუბი, სპორტული დარბაზი, სკოლის ეზო თუ სახელოსნო. მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას.“ ამასთან, 2018 წელს საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ შევიდა ცვლილება, რომლითაც სკოლებს გაუჩნდათ მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ეს კი შედარებით ახალი გამოცდილებაა საქართველოს სკოლებისათვის.

მესამე მიზეზი არის საქართველოს სინამდვილეში შესასწავლი საკითხების შესახებ საჯარო, ხელმისაწვდომი და სანდო ინფორმაციის სიმცირე. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, შვილების სწავლაში მშობელთა მონაწილეობის შესახებ კვლევაზე დაფუძნებულ ინფორმაციას შეიძლება გავეცნოთ მხოლოდ რამდენიმე ანგარიშში. ისინი განხილული იქნება შემდეგ თავში. მათგან მხოლოდ ერთი - „მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“ (2017, კოალიცია "განათლება ყველასათვის - საქართველო") - ასახავს ჩვენი კვლევის უშუალო მიზნების შესაბამის ინფორმაციას. თუმცა, აღნიშნული კვლევა ჩატარებულია ზემოხსენებული ხელშეკრულებების სავალდებულო შემოდებამდე. ამასთან, ეს კვლევა თვისებრივია და მეტად მიმართულია ტენდენციების გამოვლენაზე. ხოლო 2015-2018 წლებში ჩატარებული სხვა ეროვნული მასშტაბის კვლევებში მშობელთა სასკოლო ჩართულობა განხილული იყო როგორც ბავშვთა განვითარებაზე მოქმედ მრავალ ფაქტორთაგან ერთ-ერთი. ამის მაგალითია გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2018 წელს ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS). აღნიშნული კვლევის შედეგებიდან მაგალითად ჩანს, რომ: „ბავშვების 33%-ისათვის, შინამეურნეობის ზრდასრულ წევრს არ მიუღია მოსწავლის აკადემიური შეფასების ბარათი ბოლო ერთი წლის განმავლობაში“. იმავდროულად, ამავე კვლევის ანგარიშში ჩანს, რომ მასწავლებელთან შეხვედრა მოსწავლის აკადემიური მოსწრების განსახილველად ჰქონია ბავშვთა 78%-ის ოჯახის წევრს.

მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის პრაქტიკის შესწავლას აქტუალურს ხდის მსოფლიო და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემებში არსებული ტენდენციები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემებით, 2013-2018 წლებში ქვეყნების მეოთხედში მნიშვნელოვნად გაიზარდა პერსონალისა და მშობლების შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო გადაწყვეტილებებში. 2020 წლიდან საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტმა (RTI International), საქართველოს 8 უნივერსიტეტთან და 2 არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, დაიწყო საბაზისო

განათლების პროგრამა ქვეყნის ყველა საჯარო სკოლაში. აღნიშნული პროგრამის მიზანია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ინსტიტუციონალიზაცია საქართველოს სასკოლო სისტემაში. ამ მასშტაბური ძალისხმევების ერთ-ერთი საკვანძო მიმართულებაა სკოლებისა და მშობლების შედეგიანი თანამშრომლობის დანერგვა.

ვფიქრობთ, რომ მშობელთა სასკოლო ჩართულობის კვლევების მასშტაბისა და სიღრმის გაზრდის საჭიროება კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება.

ლიტერატურისა და არსებული გამოცდილების მიმოხილვა

მოსწავლეთა სასკოლო განათლებაში მშობელთა მონაწილეობის მკვლევარების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გამოყოფს და განასხვავებს ერთმანეთისაგან: სკოლაში ჩართულობასა და სწავლაში ჩართულობას (Ho and Williams, 1996, Maria Castro and others, 2015). ამასთან სწავლაში ჩართულობას ძირითადად უკავშირებენ ხოლმე ბავშვისათვის ინდივიდუალურ დახმარებას საშინაო პირობებში. ამგვარ მიდგომას თამამად შეიძლება ვუწოდოთ მშობელთა ჩართულობის ტერიტორიული პრინციპი.

ჯოინერი, კომერი და ბენ-ავი მიიჩნევენ, რომ ჩართულობის ყველაზე ეფექტური ფორმებია: მაღალი მოლოდინი ბავშვის მიღწევების მიმართ, კომფორტული და სწავლაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და შვილის სწავლის პროცესში გონივრული და ინტენსიური ჩართულობა (Commer, Joyner&Ben Avie 2004). ამგვარი მიდგომა კი უკვე აღარ ყოფს მშობელთა ჩართულობას ტერიტორიული პრინციპით. აღსანიშნავია, რომ მშობელთა ჩართულობის მკვლევარები შვილის სწავლი პროცესში ინტენსიურ ჩართულობას, როგორც მეთვალყურეობას განიხილავენ ხოლმე. ამ თვალსაზრისით, საინტერესო შედეგებს ვხედავთ. არაერთი, სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევა ადასტურებს დადებით კავშირს მშობელთა ინტენსიურ მეთვალყურეობასა და მოსწავლეთა დაბალ აკადემიურ მიღწევებს შორის. ასევე დასტურდება უარყოფითი კავშირი მშობლის ინტენსიურ მეთვალყურეობასა და მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას შორის (Maria Castro and others, 2015).

ბოლო ორი დეკადის განმავლობაში ბავშვების განვითარებაში მშობელთა მონაწილეობის მკვლევარები ყველაზე ხშირად ეყრდნობიან ემპტიონის მოდელს/ჩარჩოს (Epstein, J. L., 2001), რომლის მიხედვითაც სწავლა-განათლებაში მშობლის ჩართულობის 6 ძირითადი ტიპი გამოიყოფა:

1. **მზრუნველობა** - როდესაც მშობელი ზრუნავს შეძლებისდაგვარად შეუქმნას შვილს სწავლისთვის ხელშემწყობი გარემო და პირობები სახლში;
2. **კომუნიკაცია (აქტიური ურთიერთობა)** - როდესაც მშობელი იყენებს სკოლიდან სახლში და სახლიდან სკოლაში ინფორმაციის გაცვლის სხვადასხვა არხებს სასწავლო პროგრამებისა და მოსწავლის პროგრესის შესახებ;
3. **მოხალისეობა** - ნიშნავს მშობელთა მხრიდან დახმარებისა და მხარდაჭერის მოზიდვასა და ორგანიზებას. მშობელი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ჩართულია და მონაწილეობას იღებს: სხვა მშობლებთან კომუნიკაციაში, მასწავლებლებისა თუ ადმინისტრაციისათვის სასწავლო მიზნების მისაღწევ დახმარე საქმიანობაში.

4. **სახლში სწავლა** - როდესაც მშობელი უშუალოდ ან საზოგადოების სხვა წევრების მეშვეობით ავლენს შვილის სწავლისადმი ინტერესს და ეხმარება შვილს სასწავლო მიზნების მიღწევაში სწავლებით, ორგანიზებით, დამხმარე საშუალებებზე ხელმისაწვდომობით და ა.შ..
5. **გადაწყვეტილების მიმღებობა** - როდესაც მშობელს აქვს არაერთი ოჯახის ნდობა და წარმომადგენლობა, ლიდერია და მონაწილეობას იღებს სასკოლო გადაწყვეტილებებში.
6. **საზოგადოებრივი თანამშრომლობა** - როდესაც მშობელს შეუძლია საზოგადოების რესურსებისა თუ მომსახურების იდენტიფიცირება და ინტეგრირება სასკოლო პროგრამების, საოჯახო პრაქტიკისა და მოსწავლეთა სწავლა-განვითარების გასაძლიერებლად

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებაზე მშობელთა ჩართულობის შესახებ უფრო ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმგვარი კვლევების შედეგები, სადაც შესწავლილია მშობელთა ჩართულობის ინტენსივობები ჩართულობის ტიპებისა თუ ფორმების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში განიხილება მშობელთა მაღალი, საშუალო ან/და დაბალი ჩართულობა, სხვადასხვა ფორმების ჯამურად გათვალისწინებით (Hoover-Dempsey and Sandler, 1997). ამგვარი კვლევებით კი თვალსაჩინოდ დასტურდება, რომ მაღალი და საშუალო ჩართულობის მშობელთა შვილებს აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება, ვიდრე დაბალი ჩართულობის მშობლებს (Laura Lara and Mahia Saracostti, 2019).

მშობელთა ჩართულობის დონეზე სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს სხვადასხვა ზომით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. თუმცა, იკვეთება გარკვეული ემპირიული კანონზომიერებები. მაგალითად, 20 წლიანმა შედარებითმა კვლევამ აშშ-ის 38 შტატში აჩვენა, რომ: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებში მშობელთა ჩართულობა მკვეთრად მცირეა, ხოლო სიღარიბის ზღვარს ზემოთ სხვადასხვა შემოსავლების მქონე ოჯახებში ჩართულობის დონე აღარ უკავშირდება საშუალო, თუ მაღალ შემოსავლებს შორის სხვაობას. ასევე იკვეთება, რომ მშობელთა ჩართულობის დონე დადებით კავშირშია საკუთრივ მშობლის განათლებულობის ხარისხთან (child trends, 2018).

21-ე საუკუნეში მოსწავლეთა სასწავლო შედეგებისა და მათზე მოქმედი ფაქტორების შემსწავლელი ფართომასშტაბიანი და რეგულარულ საერთაშორისო კვლევას აწარმოებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD). ეს არის მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA), 2009 წლიდან მიუერთდა საქართველოც. მოსწავლეთა მიღწევებზე მშობელთა ჩართულობის გავლენის შესწავლა ამ პროგრამის ფარგლებში რეგულარულია, თუმცა ჩაღრმავებულად მოხდა 2015 წელს, რომელშიც 72 ქვეყანა მონაწილეობდა.

წლების განმავლობაში შეკრებილი მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ:

OECD ქვეყნების უმეტესობაში მშობლებს აქვთ მთელი რიგი შესაძლებლობები მონაწილეობა მიიღონ საჯარო სკოლების მმართველობაში (70%) ან ასოციაციებში, რომლებიც რჩევას აძლევენ საჯარო სკოლებს (90%). (Education at a Glance 2010: OECD Indicators,).

ქვეყნების დიდ ნაწილში სკოლების საბჭოებში მშობელთა მონაწილეობა სავალდებულოა, თუმცა ხშირად ეს დამოკიდებულია სკოლის ტიპზე (Education at a Glance 2010: OECD Indicators,). საქართველოში საჯარო სკოლებში სწავლობს მოსწავლეთა 90% (საქსტატი, ზოგადი განათლება).

საშუალოდ OECD-ს მასშტაბით, მასწავლებელთა 77% აცხადებს, რომ მათი სკოლა მშობლებს შესაძლებლობას აძლევს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სასკოლო გადაწყვეტილებებში, რაც 2013 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა 13 ქვეყანაში.

2018 წლის მონაცემებით, მოსწავლეთა 41%-ის სწავლა-განათლების მიმდინარეობა მასწავლებელთან განიხილება მშობელთა ინიციატივით, ხოლო მოსწავლეთა 57%-ის შემთხვევაში ეს ხდება მასწავლებლების ინიციატივით. ამასთან იკვეთება, რომ ზოგად განათლებაში მეტად დაწინაურებულ ქვეყნებში (მაგ: იაპონია, შვედეთი, ნორვეგია, დანია) მოსწავლეთა განათლების მიმდინარე განხილვები მშობლებთან მეტად არის ხოლმე ინიცირებული სკოლიდან და მასწავლებლიდან. (PISA 2018 Results (Volume III)).

მოსწავლის განათლებასთან დაკავშირებული განხილვების ინიციატივის თვალსაზრისით მკაფიო განსხვავება შეინიშნება ასევე სოფლისა და ქალაქის სკოლებს შორის: ქალაქად მეტ ინიციატივას იჩენენ მშობლები, ხოლო სოფლად - სკოლა და მასწავლებლები.

PISA-ში ჩართულ ქვეყნებში მშობელთა მხოლოდ 17% მონაწილეობს სკოლის თვითმმართველობით საბჭოებში და 12% მოხალისეობს კლასგარეშე აქტივობებში.

სკოლასთან თანამშრომლობა შესაძლებლობას აძლევს მშობელს, პირველწყაროდან მოიპოვოს ინფორმაცია სასკოლო გარემოზე, მეტად გაერკვეს საგანმანათლებლო პროცესის მიზნებსა და პრობლემებში, მოახდინოს ბავშვისათვის იმის დემონსტრირება, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს საგანმანათლებლო პროცესს და აკონტროლოს მოსწავლის ქცევა სკოლაში (Gronlik and Slowiaczek, 1994; Lareau, 1996; Muller and Kerbow, 1993).

თავის მხრივ, მშობლის სკოლასთან პარტნიორობის ხარისხი, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს თავად სკოლის მიერ მშობლების გააქტიურების მიზნით გაწეულ ძალისხმევაზე (Hoover-Dempsey and Sandler, 1997).

საქართველოში მშობელთა სასკოლო ჩართულობის შემსწავლელი მცირე რაოდენობის კვლევების შედეგები საგულისხმოა არსებული მდგომარეობის შეფასებისა და სამომავლო შესწავლისთვისაც.

მაგალითად, PISA-2015 საქართველოს ეროვნული ანგარიშის თანახმად „მშობელთა ჩართვისათვის სკოლის მიერ გაწეული ძალისხმევის ინდექსი იზომება, როგორც დებულებათა წილი, რომელსაც დაეთანხმა სკოლის დირექტორი. საქართველოში ინდექსის საშუალო მაჩვენებელი 90,2%-ს შეადგენს (სტ. შეცდ.=1.1). ანალოგიური სურათია საშუალოდ PISA-ში მონაწილე სხვა ქვეყნებშიც, სადაც ათიდან ცხრა მოსწავლე სწავლობს ისეთ სკოლაში, სადაც დირექტორი ყველა დებულების ჭეშმარიტებას ადასტურებს.“ მარტივად, რომ ვთქვათ სკოლების დირექტორების 90,2%-ის შეფასებით სკოლები ყველა შესაძლებლობას იყენებენ მშობელთა ჩართვისათვის. იმავდროულად, PISA-2015-ს ნაერთი საერთაშორისო მონაცემების ანალიზის შედეგად „მოსწავლეები უკეთეს შედეგს აჩვენებენ, თუ სკოლა რთავს მშობლებს სასკოლო პროცესებში.“ მოსწავლეთა შედეგების მხრივ კი, საქართველო ერთ-ერთი „სუსტი“ ქვეყანაა. აქ გასათვალისწინებელია მშობელთა ჩართულობის ტიპებისა და ფორმების გათვალისწინება. ამავე კვლევის შედეგებით გამოჩნდა, რომ „საქართველოში მშობელთა ჩართულობის ინდექსის მაჩვენებელი უარყოფითი ნიშნით არის დაკავშირებული მოსწავლის მიღწევასთან. ამ შედეგების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მშობლები

უფრო მეტად არიან ჩართულნი სკოლის საქმიანობაში ისეთ სკოლებში, სადაც მოსწავლეთა დისციპლინა ან მიღწევები უფრო დაბალია. მშობელთა ჩართვა რთული და შრომატევადი ამოცანაა. შესაბამისად, შესაძლოა, რომ მშობლები ამ სტრატეგიას მხოლოდ სერიოზული პრობლემების დროს მიმართავენ.“ (საქართველოს ანგარიში, PISA-2015).

თუ აღნიშნულ ორ შედეგს შევაჯერებთ, აღმოვაჩენთ, რომ დირექტორებისა და მშობლების უმეტესობის მიერ მშობლის ჩართულობა მეტად უკავშირდება მეთვალყურეობის ინტენსივობას.

ქვემოთ მოტანილია PISA-2015 საქართველოს ანგარიშში მოტანილი შედეგები ცხრილების სახით:

ცხრილი 6.5 სკოლის ძალისხმევა მშობელთა ჩასართავად (ინდექსის კომპონენტები) (დირექტორთა გამოკითხვა)

იმ მოსწავლეთა პროცენტი, რომელთა დირექტორი ეთანხმება დებულებებს								
ჩვენი სკოლის გულითადი და ღია ატმოსფერო მშობელთა ჩართულობას უწყობს ხელს.			ჩვენმა სკოლამ შეიმუშავა სკოლასა და ოჯახს შორის ორმხრივი კომუნიკაციის ეფექტიანი ფორმები სკოლის პროგრამებისა და მოსწავლეთა პროგრესის შესახებ ინფორმაციის გასაცვლელად		ჩვენს სკოლაში მშობლები ჩართულები არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში		ჩვენი სკოლა ოჯახებს აწვდის ინფორმაციას და იძლეობს, თუ როგორ შეიძლება დაეხმარონ მოსწავლეს შინ დავალებების მომზადებასა თუ სწავლასთან დაკავშირებულ აქტივობებში, გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვაში.	
	%	S.E	%	S.E	%	S.E	%	S.E
OECD-ის საშუალო	96.4	(0.2)	92.3	(0.3)	76.8	(0.5)	87.4	(0.4)
საქართველო	98.0	(0.9)	77.2	(2.8)	89.6	(1.9)	95.7	(1.6)

ცხრილი 6.6 მშობელთა ჩართულობის ინდექსის კომპონენტები (მშობელთა გამოკითხვა)

იმ მოსწავლეთა პროცენტი, რომელთა მშობლები ეთანხმებიან, რომ წინა სასწავლო წელს ისინი მონაწილეობდნენ შემდეგ აქტივობებში					
OECD-ის საშუალო				საქართველო	
	%	S.E	%	S.E	
ჩემი ინიციატივით მასწავლებელთან ერთად განვიხილე ჩემი შვილის ყოფაქცევა	50.2	(0.3)	78.0	(0.8)	
მასწავლებლის ინიციატივით მასწავლებელთან ერთად განვიხილე ჩემი შვილის ყოფაქცევა	40.3	(0.3)	71.3	(1.0)	
ჩემი ინიციატივით მასწავლებელთან ერთად განვიხილე ჩემი შვილის მიღწევები	51.4	(0.3)	79.5	(0.7)	

მასწავლებლის ინიციატივით მასთან ერთად განვიხილე ჩემი შვილის მიღწევები	43.6	(0.3)	77.4	(0.8)
მონაწილეობა მივიღე სკოლის თვითმმართველობის მუშაობაში, მაგ., მშობლეთა კავშირის ან სამეურვეო საბჭოს მუშაობაში	15.7	(0.2)	23.6	(0.9)
მოხალისედ ვიმუშავე სასკოლო არასპორტო ფიზიკურ აქტივობებში (მაგ., სადურგლო, მებაღეობის, შენობისა და ეზოს სარემონტო საუშაოებში, სასკოლო წარმოდგენაში, ექსკურსიაში)	11.6	(0.2)	18.0	(0.8)
ნებაყოფლობით ჩავერთე სასკოლო აქტივობებში (ვიყავი მოხალისე სასკოლო ბიბლიოთეკაში, მედიაცენტრში ან სკოლის სასადილოში, დავეხმარე მასწავლებელს, ვიყავი მოწვეული სტუმარი)	7.9	(0.1)	12.6	(0.7)
დავესწარი დაგეგმილ შეხვედრას ან მშობელთა კრებას	75.9	(0.2)	91.3	(0.5)
მასწავლებელთან ერთად გავნიხილე, როგორ შეიძლება დავეხმარო ჩემს შვილს სახლში სწავლასა და დავალებების მომზადებაში	51.8	(0.3)	68.9	(0.8)
მასწავლებელს გავუზიარე ჩემი იდეები ბავშვის აღზრდასთან, ოჯახის დახმარებასა და ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე	35.1	(0.2)	51.9	(1.0)

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს სკოლებში მშობელთა ჩართულობის შესაფასებლად არცთუ მრავალფეროვანი საზომები იყო გამოყენებული, ხოლო მიღებული შედეგები ესადაგება PISA-ს გამოცდილებაში ასახულ ტენდენციებს: სკოლის მმართველობაში მონაწილეობის სავალდებულო შესაძლებლობა, დირექტორების მხრიდან სკოლის ძალისხმევითა მაქსიმალურად შეფასება, მოსწავლის განათლების საკითხების განხილვაში მშობელთა მხრიდან მეტი ინიციატივა, მშობელთა მცირე მოხალისეობა, სკოლის მართვაში იშვიათი მონაწილეობა და ა.შ.

გასათვალისწინებელია, რომ PISA-2015 კვლევა მიმდინარეობდა რესპოდენტების ანკეტირების რაოდენობრივი მეთოდით და ის არ გულისხმობდა საკითხების თვისებრივ შესწავლას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა კოალიციის „განათლება ყველასათვის - საქართველო“ მიერ 2017 წელს ირგანიზებული თვისებრივი კვლევა „მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“. ეს კვლევა ჩატარდა ჯგუფური ინტერვიუების მეთოდით საქართველოს ყველა რეგიონში და ორი ტიპის ფოკუს ჯგუფები შედგებოდა: 1. მასწავლებლებისა და მშობლების ნაკრებისგან და 2. მოსწავლეებისა და კურსდამთავრებული ახალგაზრდებისგან.

აღნიშნული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- „სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას აქვს არასტრუქტურული, სპონტანური ხასიათი;
- რეალურად სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობა შეიძლება განიხილებოდეს როგორც უფრო კერძო ინიციატივა, ვიდრე ფორმულირებული ქცევითი სტრუქტურა;
- სასკოლო ჩართულობასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული მოთხოვნები, და შეიძლება ითქვას მოთხოვნილებები, როგორც მშობლების ისე მასწავლებლების მხრიდან, თუმცა საბოლოო ჯამში არ არსებობს კონკრეტული პატერნები, რა ფორმით შეიძლება ეს ხდებოდეს.“

აქ მიმოხილული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ:

საქართველოს საჯარო სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკა დამოკიდებულია სკოლის დასახლების ტიპზე (რურალური, ურბანული), მოსწავლეთა ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მშობელთა განათლების ხარისხსა და სკოლის ხელმძღვანელის პიროვნულ თუ პროფესიულ თვისებებზე.

კვლევის მეთოდოლოგია

საჯარო სკოლებში მშობელთა დემოკრატიული ჩართულობის ხარისხის აღწერილობით-ინტერპრეტაციული შესწავლა განხორციელდა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით. ინფორმაციის სხვადასხვა წყაროსთან მრავალმეთოდიან მიდგომაზე დაფუძნებული მეთოდოლოგია გამოყენებული იყო კვლევის ვალიდობისა და სანდოობის გასაზრდელად (კოჰენი, 2012).

კვლევა განხორციელდა 4 ეტაპად: 1. მონაწილე საჯარო სკოლებისა და მშობლების ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზი; 2. ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში; 3. ჩაღრმავებული ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან; 4. მონაწილე სკოლების მშობელთა ანკეტირება.

აღსანიშნავია, რომ 1-ლის გარდა კვლევის ყველა ეტაპზე, შესაბამისი სამიზნე ჯგუფებიდან, მონაცემებს ვიღებდით კვლევის ოთხივე მიმართულებით.

1. მონაწილე საჯარო სკოლებისა და მშობლების ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზი

საჯარო სკოლებისა და ამავე სკოლის მშობლებს შორის ურთიერთობის წესების სპეციფიკური დადგენა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხდება სკოლის შინაგანაწესისა და ხელშეკრულების მეშვეობით. აღნიშნული დოკუმენტები და მათი ანალიზი საჭიროა მშობლების ფორმალური უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების აღსაწერად.

პროექტში მონაწილე სკოლებმა გაგვიზიარეს საკუთარი შინაგანაწესები. ასევე, ერთ-ერთმა სკოლამ გაგვიზიარა მშობელთა და საჯარო სკოლას შორის დადებული ხელშეკრულების ნიმუში. აღსანიშნავია, რომ მონაწილე ყველა სკოლას აქვს მშობელთან დადებული ტიპური ხელშეკრულება.

2. ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში

ჯგუფური ინტერვიუს მეთოდი, ფოკუს ჯგუფის ფორმის გამოყენებით, მოიცავდა შემდეგ სამიზნე აუდიტორიებს: პროექტში მონაწილე სკოლების მშობლები და კლასის დამრიგებლები. კვლევის მეორე ნაწილი მოიცავდა მშობელთა ფოკუს ჯგუფების მონაწილეების მიერ სტანდარტიზებული ანონიმური კითხვარის - ანკეტის შევსებას.

თითოეულ სკოლაში შედგა ორი ფოკუს ჯგუფი: 1. მშობლები და 2. კლასის დამრიგებლები. კვლევის აღნიშნული მეთოდი შეირჩა ამოცანებისა და კვლევის შემდგომი ეტაპების გათვალისწინებით. მიღებული შედეგები იყო, ერთი მხრივ, საორიენტაციო (ტენდენციების გამოვლენა) შინაარსის და, მეორე მხრივ, კვლევის შემდეგი ეტაპის - ანკეტირების ინსტრუმენტის დამაზუსტებელი (მშობელთა ანკეტა-კითხვარის კორექცია) დანიშნულების. შესაბამისად, კვლევის ამ ეტაპზე მიღებული შედეგები არ განიხილება როგორც საბოლოო და სრულად განზოგადებული.

ფოკუს ჯგუფების დაგეგმვისა და განხორციელების დროს გათვალისწინებული იყო რამდენიმე კრიტერიუმი:

- **გეოგრაფია** - კვლევის ფარგლებში მოხდა ფოკუს ჯგუფების ჩატარება ყველა ტიპის დასახლებაში - დიდი ქალაქი, პატარა ქალაქი, სოფელი (იმისათვის რომ ყოფილიყო სრული გეოგრაფიული რეპრეზენტაცია). აღსანიშნავია, რომ დასახლების ტიპის მიხედვით სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიული რეპრეზენტაციის კრიტერიუმი იმთავითვე გამოყენებულია პროექტში მონაწილე სკოლების შერჩევისას.
- **ასაკი** - თითოეულ ფოკუს ჯგუფში წარმოდგენილი მონაწილეები წარმოდგენდნენ ზოგადი განათლების სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მოსწავლეებს - მშობლები და კლასის დამრიგებლები.
- **ინკლუზია** - თითოეულ ფოკუს ჯგუფში იყვნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლები და კლასის დამრიგებლები.
- **სასკოლო გამოცდილება** - თითოეულ ფოკუს ჯგუფში წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა სასკოლო გამოცდილების მქონე მონაწილეები - დამწყებებიც და მრავალწლიანი სტაჟის მქონეებიც.
- **ინფორმირებული თანხმობა** - თითოეული ფოკუს ჯგუფის მონაწილე ინფორმირებული იყო კვლევის მიზნების, ეტაპებისა და პროცედურების შესახებ. ფოკუს ჯგუფებში იყვნენ მხოლოდ ის პირები, ვინც განაცხადეს თანხმობა მონაწილეობაზე.

3. ჩადრმაკვებელი ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან

კვლევის ამ ეტაპზე, მონაწილე სამივე სკოლის დირექტორთან ინდივიდუალურად ჩატარდა სტრუქტურირებული ჩადრმაკვებელი ინტერვიუ კვლევის ოთხივე მიმართულებით. სკოლასა და მშობლებს შორის ურთიერთობების სისტემაში, შესაბამისად სკოლაში მშობელთა შედეგიანი ჩართულობის საქმეში დირექტორები არიან ყველაზე დიდი, ავტონომიური ძალაუფლებისა და გავლენის მქონე ადამიანები. იმავდროულად, სკოლის დირექტორის ლიდერობა აისახება ორგანიზაციულ კულტურასა და შესაბამისად მშობელთა ჩართულობის

საქმეში. ამ გარემოებების გამო, დირექტორებთან ჩადრმავეებული ინტერვიუს შედეგები გამოიყენება კვლევის დასკვნებისა და განზოგადებისათვის.

4. მონაწილე სკოლების მშობელთა ანკეტირება

მონაწილე სკოლების მშობელთა ჩართულობის მასშტაბისა და ხარისხის რაოდენობრივი შეფასება არის თითოეული სკოლის პრაქტიკის ტენდენციების დაზუსტებული სურათი. მშობელთა გამოცდილების რაოდენობრივი შეფასებისათვის გამოვიყენეთ ონლაინ-ანკეტირება, რაც გამოწვეული იყო სამუშაო პერიოდში COVID-19 ვირუსის გავრცელების პრევენციით. ანკეტა-კითხვარის სტრუქტურა და შინაარსი შეიქმნა წინა წლებში საქართველოში ჩატარებული რამდენიმე მსგავსი კვლევის კითხვარების შეჯერების საფუძველზე, კერძოდ: სკოლების კულტურის კვლევა, ეგშც, 2006; მშობლების საცდელი კვლევა PISA 2012-ის ფარგლებში; მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, EFA-საქართველო, 2017). შექმნილი კითხვარი დაზუსტებული და კორექტირებული იყო კვლევის მე-2 ეტაპის შედეგების მიხედვით. ანკეტირება მოხდა რესპოდენტების ელ-ფოსტის გამოყენებით. რესპოდენტებს დაეგზავნათ google-ის ფორმა (ანკეტა) მხოლოდ მკვლევარის ელ-ფოსტიდან და შევსებისათვის განსაზღვრული ჰქონდათ შეზღუდული ვადა. შესაბამისად, მონაცემები არ იყო რედაქტირებული მესამე პირების მიერ. რესპოდენტების შერჩევისათვის გამოყენებული იყო სკოლების მონაცემთა ბაზები მოსწავლეთა შესახებ (პირადი ნომერი, სქესი, ასაკი, კლასი, მშობლის ელ-ფოსტის მისამართი). რაოდენობრივი კვლევის წარმომადგენლობითობისა და ვალიდურობისათვის სამიზნე საერთო პოპულაციიდან რესპოდენტების შერჩევა მოხდა შემდეგი რანგირებული კრიტერიუმებით:

1. სკოლის მოსწავლეთა კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის საერთო სიაში პირადი ნომრების ზრდადი სიიდან ყოველი მესამე მოსწავლე;
2. დისტანციური ონლაინ-ანკეტირების ხელმისაწვდომობა შესაბამისად უსფრთხო ელ-ფოსტის მისამართის არსებობა (ტექნიკური შეზღუდვა);
3. მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფების პარიტეტული წარმომადგენლობა საერთო პოპულაციის ნაკრებში;
4. მოსწავლეთა გენდერული პარიტეტი;
5. რესპოდენტი მშობლების უნიკალობა (სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა ერთი და იგივე მშობლის გამეორების თავიდან ასაცილებლად);
6. 2-5 კრიტერიუმებთან შეუსაბამობის შემთხვევაში განიხილებოდა პირადი ნომრის მეტობის მიხედვით მეზობელი მოსწავლის მშობლის მონაცემი.

მე-2 კრიტერიუმი დააკმაყოფილა მშობელთა საერთო პოპულაციის 42%-მა. კვლევის ამ შეზღუდვის გამო ანკეტირების შედეგების განზოგადება მხოლოდ აღნიშნულ ფარგლებშია შესაძლებელი.

კვლევის პროცედურები

ჯგუფურ და ინდივიდუალურ ინტერვიუებს უძღვებოდა როზი დევნოზაშვილი, სტანდარტიზებული პროცედურით. ყველა ფოკუს ჯგუფსა და ინდივიდუალურ ინტერვიუში გამოყენებული იყო სტანდარტიზებული კითხვები, ჯგუფის ტიპისა (მშობლები თუ კლასის დამრიგებლები) და რესპოდენტის შესაბამისად.

თითოეულ ფოკუს ჯგუფსა და დირექტორთან, მონაწილეთა თანხმობით, მიმდინარეობდა ინტერვიუს აუდიოჩაწერა. ყოველი აუდიოჩაწერის წერილობითი ტრანსკრიპტი კეთდებოდა ფოკუს ჯგუფის ჩატარებიდან 24 საათის განმავლობაში და ამის შემდეგ აუდიოჩაწერი ნადგურდებოდა.

კვლევაში მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობდა სამი ტიპური საჯარო სკოლა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში საჯარო სკოლები წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 90,2%-ს და მათში სწავლობს მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 89,4%. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/59/zogadi-ganatileba>).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ფინანსური მართვა დიფერენცირებულად დამოკიდებულია დასახლების ტიპსა და მოსწავლეთა რიცხოვნობაზე. ამასთან, სკოლისა და მშობლების კომუნიკაცია მეტად განპირობებულია დასახლების ტიპით, რაც განპირობებს ხოლმე შინამეურნეობების ძირითად საქმიანობასა და ინფრასტრუქტურას.

ცხრილი 1. მონაწილე სკოლების ტიპურობის მაჩვენებლები

მონაწილე სკოლა	მოსწავლეთა რიცხოვნობა	დასახლების ტიპი	ტიპურობის მაჩვენებელი დასახლების ტიპით (% საქართველოს სკოლებიდან)*	ტიპურობის მაჩვენებელი მოსწავლეთა რიცხოვნობით (% საქართველოს სკოლებიდან)**
სკოლა A	1939	დიდი ქალაქი	18,2%	49%
სკოლა B	585	მცირე ქალაქი	6,3 %	12,5%
სკოლა C	362	სოფელი	67,7%	36,1%

წყაროები:

* (განათლება ყველასათვის - საქართველო, ზოგადი განათლების დაფინანსება საქართველოში, 2015. <http://efageorgia.ge/wp-content/uploads/2020/04/3.pdf>)

** (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/59/zogadi-ganatileba>)

თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა 10 ადამიანი (გამონაკლისი - სკოლა A-ს დამრიგებლების ჯგუფში იყო 11 მონაწილე). ფოკუს ჯგუფების მონაწილეების შერჩევა მოხდა წარმომადგენლობითი ბალანსის პრინციპით.

მშობლების ფოკუს ჯგუფი: 4 დაწყებითი, 3 საბაზო და 3 საშუალო საფეხურის მოსწავლის მშობელი. მათ შორის იყო სსსმ მოსწავლის მშობელი.

კლასის დამრიგებლების ფოკუს ჯგუფი: 4 დაწყებითი, 3 საბაზო და 3 საშუალო საფეხურის კლასის დამრიგებელი. მათ შორის იყვნენ, როგორც დამწყები, ისე ხანგრძლივი გამოცდილების მქონე დამრიგებლები.

ცხრილი 2. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები

მონაწილე სკოლა	მშობელთა ფოკუს ჯგუფი	კლასის დამრიგებლების ფოკუს ჯგუფი
სკოლა A	10 (აქედან 1 სსსმ-ის მშობელი)	11 (აქედან 1 იმავდროულად მშობელი; 1 დამწყები)
სკოლა B	10	10 (აქედან 1 სსსმ-ის დამრიგებელი)
სკოლა C	10 (აქედან 1 სსსმ-ის მშობელი)	10 (აქედან 1 დამწყები)

ჩაღრმავებულ ინდივიდუალურ ინტერვიუში მონაწილეობა მიიღო სამივე საჯარო სკოლის დირექტორმა (სკოლა A - ქალი, სკოლა B - კაცი, სკოლა C - ქალი).

მშობელთა ანკეტირებაში სამივე სკოლაში ჯამურად მონაწილეობა მიიღო 970-მარესპოდენტმა, რაც ამავე სკოლის მშობელთა საერთო პოპულაციის მესამედზე ოდნავ მეტია (33.6%). ონლაინ-ანკეტირებაში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის ტექნიკური ბარიერების გათვალისწინებით, მონაწილეთა ამგვარი განაწილება აკომპენსირებს რეპრეზენტაციის შეზღუდვას და ზრდის მიღებული შედეგების ვალიდურობას.

ანკეტირებაში მონაწილე მშობლების უპირატესი უმრავლესობა ქალია (99%). გამოკითხულთა შორის მხოლოდ 11 მამაკაცია. გამოკითხულ მშობელთა 45% არის უმაღლესი განათლებით, 37% - ზოგადი განათლებით და მხოლოდ 8% - პროფესიული ან არასრული უმაღლესი განათლებით. გამოკითხულ მშობელთა საშუალო ასაკი 39 წელია. ჩვენი რესპოდენტების მხოლოდ 13%-ს ჰყავს ერთი შვილი. გამოკითხული მშობლების ნახევარზე მეტის (56%) ერთზე მეტი შვილი სწავლობს მონაწილე სკოლებში. ეს არის მშობლის სკოლასთან ურთიერთობის გამოცდილების მნიშვნელოვანი საზომი.

გამოკითხული რესპოდენტების ნახევარზე მეტის (63%) ოჯახების ყოველთვიური შემოსავალი არის 500-დან 1500 ლარამდე, იმავდროულად გამოკითხულთა ოჯახების თითქმის მეოთხედს (24%) აქვს 500 ლარზე ნაკლები ყოველთვიური შემოსავალი.

ცხრილი 3. მშობელთა ანკეტირების მონაწილეები

მონაწილე სკოლა	დასახლების ტიპი	მოსწავლეთა რიცხოვნობა	გამოკითხულ მშობელთა რაოდენობა	გამოკითხულ მშობელთა წილი (%)
სკოლა A	დიდი ქალაქი	1939	643	33.1%
სკოლა B	მცირე ქალაქი	585	165	28.2%
სკოლა C	სოფელი	362	162	45%
ჯამური მონაცემები		2,886	970	33.6%

კვლევის ინსტრუმენტები

კვლევაში გამოყენებული კითხვარები შეესაბამებოდა მეთოდსა და სამიზნე აუდიტორიას. ყოველი კითხვარი ეხებოდა ძირითად საკვლევ საკითხებს:

1. მშობლების ფორმალური უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა
2. მშობელთა ჩართულობის რეალური პრაქტიკა
3. მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის პრაქტიკა

ცხრილი 4. კვლევის ინსტრუმენტები

მეთოდი	ინფორმაციის წყარო და სამიზნე აუდიტორია	კვლევის ინსტრუმენტი
დოკუმენტების ანალიზი	სკოლის ადმინისტრაცია	სკოლის შინაგანაწესები, სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება
ფოკუს ჯგუფი	მშობლები	კითხვარი 1
ფოკუს ჯგუფი	კლასის დამრიგებლები	კითხვარი 2
ჩაღრმავებული ინტერვიუ	სკოლის დირექტორი	კითხვარი 3
გამოკითხვა	მშობლები	ანკეტა

კვლევის შედეგები

ამ თავში წარმოდგენილია კვლევაში მონაწილე სამივე სკოლის ნაერთი შედეგები საკვლევი საკითხების მიხედვით.

მშობლების ფორმალური უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა

მონაწილე საჯარო სკოლებისა და მშობლების ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტები

ზოგადი განათლების სფეროში და შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში - სკოლაში მშობლების ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს აღწერს საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. ამასთან, კანონში ხშირად არის ნახსენები სკოლის უფლებამოსილება დააწესოს აღნიშნული უფლებების, თავისუფლებებისა და მათი შეზღუდვების გამოყენების გონივრული ფარგლები (განსაკუთრებით, თავი II. მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები). შესაბამისად, ამგვარი კონკრეტული კანონიერი წესები შეიძლება არსებობდეს თითოეულ სკოლაში. თუმცა, კანონში ზოგადი განათლების შესახებ მკაფიოდ არის აღწერილი ნორმა, რომელიც ამ საკითხებში მშობლების ინფორმირებულობის არაერთჯერად ვალდებულებას ცალსახად აკისრებს კონკრეტულ სკოლას:

„მუხლი 10. საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება

1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ.

2. სკოლა ვალდებულია ყოველ ახალ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს გააცნოს მათი უფლებები და თავისუფლებები.

3. სკოლა ვალდებულია უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისას მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს გონივრულ ვადაში განუმარტოს შეზღუდვის საფუძველი.“

კანონში არ არის მითითებული კონკრეტული ნორმატიული აქტი, რომელშიც სკოლამ შეიძლება დააზუსტოს მშობელთა უფლებამოსილებები და შეზღუდვები ან/და ამ უფლებების შესახებ ინფორმირების წესი.

თუმცა, კანონში ზოგადი განათლების შესახებ ნათქვამია, რომ: „ზოგადი განათლების მიღების მიზნით, ქმედუწარმო/შეზღუდული ქმედუწარმობის მქონე პირის მშობელს/შესაბამის უფლებამოსილ პირსა და სკოლას შორის, ხოლო ქმედუწარმანი პირის შემთხვევაში – ამ პირსა

და სკოლას შორის ფორმდება ხელშეკრულება.“ (მუხლი 9. ზოგადი განათლების მიღების უფლება, 6¹). ამის გამო, ჩვენ დავინტერესდით ამგვარი ხელშეკრულებებით.

საქართველოს საჯარო სკოლების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ავტონომიურობის ფუნქციონირება გამოხატულება არის სკოლის წესდება. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ყველა საჯარო სკოლას (რამდენიმე ერთეულის გამოკლებით) და მათ შორის კვლევაში მონაწილე სკოლებსაც აქვთ იდენტური წესდებები. ამ წესდებაში კანონის ზემოთქმული ნორმების მხოლოდ მცირედი დაზუსტებაა, კერძოდ:

„მუხლი 11. მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა უფლებები და თავისუფლებები

1. მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა უფლებები და თავისუფლებები განისაზღვრება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.
2. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გასაჩივრონ მასწავლებლის და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.
3. სკოლა ვალდებულია შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება. “

აღნიშნულ წესდებაში კიდევ ერთი დაზუსტება ეხება საჩივრების განხილვის წესს, კერძოდ:

„მუხლი 15. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა საჩივრის განხილვა

1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს ორი კვირის განმავლობაში, რაც მისთვის ცნობილი გახდა უფლების დარღვევის შესახებ.
2. დირექტორი საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან ორი კვირის ვადაში.
3. დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში გადაწყვეტილების გაცნობიდან ორი კვირის ვადაში. სამეურვეო საბჭო ვალდებულია განიხილოს საჩივარი 1 თვის ვადაში.“

როგორც კანონში, ისე საჯარო სკოლების წესდებაში საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის საშუალებებში დასახელებულია საჯარო სკოლის თვითმმართველობის რამდენიმე სავალდებულო წარმომადგენლობითი არჩევითი ორგანო, კერძოდ: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და სააპელაციო კომიტეტი (სკოლის საჭიროებისამებრ).

ამგვარად, საჯარო სკოლის წესდება აღწერს მშობლების უფლებებისა თუ თავისუფლებების მხოლოდ დარღვევასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებსა და მექანიზმებს.

საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ და საჯარო სკოლების ტიპურ წესდებაში არ არის აღწერილი „საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლების“ უზრუნველყოფის წესები და საშუალებები - მექანიზმები.

საქართველოში საჯარო სკოლების შინაგანაწესები წარმოადგენს, სკოლის საერთო ფუძემდებლურ დოკუმენტებს შორის, ყველაზე ავტონომიურს. შინაგანაწესში აღწერილია სკოლის წევრების ქცევების, ურთიერთობისა და პასუხისმგებლობების მარეგულირებელი ნორმები. საჯარო სკოლებში შინაგანაწესის განახლება ხდება ყოველწლიურად. მასში ხშირად აღწერილია სკოლის წევრთა ზოგადი უფლებამოსილებები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შიდა სასკოლო მოთხოვნები, რეგლამენტები.

სამივე მონაწილე საჯარო სკოლამ წარმოგვიდგინა 2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისში განახლებული საკუთარი შინაგანაწესები. თითოეული შინაგანაწესი არის ამავე სკოლის დირექციის მიერ წარდგენილი და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული. აღნიშნულ შინაგანაწესებში ვეძებდით მშობლების კანონიერი უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის დაზუსტებებს, ასევე მათ შესახებ ინფორმირებისა და უზრუნველყოფის სასკოლო წესებს.

თითოეული სკოლის შინაგანაწესების შესწავლისა და შედარების შედეგად მივიღეთ, რომ:

სამივე სკოლის შინაგანაწესები სიტყვა-სიტყვით იმეორებს ერთმანეთს - ერთი და იგივე ტექსტია. არის სამი მცირედი გამონაკლისი, კერძოდ: 1) სკოლა B-ს შინაგანაწესის მე-5 მუხლს დამატებული აქვს თანამშრომლებისათვის „ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების“ პირობა; 2) სკოლა B-ს შინაგანაწესის მე-6 მუხლს დამატებული აქვს „თანამშრომლის შვებულებიდან გამოძახების“ დასაშვებობის პირობა. 3) სკოლა C-ს შინაგანაწესში დამატებულია „მუხლი 25. სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება“ და „მუხლი 26. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა და მისი სავალდებულობა“.

სხვადასხვა მახასიათებლების მქონე სკოლების შინაგანაწესებში, ზემოთ აღნიშნული გამონაკლისების გარდა, სხვა განსხვავებები არ არსებობს.

შინაგანაწესი ვრცელდება „სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.“ (მუხლი 1.1.)

შინაგანაწესის გაცნობის სასკოლო ვალდებულება შემოფარგლულია ორი საშუალებით: ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას განთავსებითა და სასწავლო წლის დაწყებისას დამრიგებლების მიერ მოსწავლეებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისათვის სავალდებულო გაცნობით. (მუხლი 1.4 და 5). სხვა შემთხვევაში შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. თუმცა, მაგალითად სკოლა A-ს ვებგვერდზე განთავსებულია შინაგანაწესის 2015 წლის ძველი ვერსია. სკოლებს B და C-ს ვებ-გვერდი საერთოდ არ აქვთ.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული 11 სფეროდან (მუხლი 1.6) მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებამოსილებებს რაიმე სახით ეხება 5. კერძოდ: „ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი.“

შინაგანაწესში აღწერილია სკოლის თანამშრომელთა (მათ შორის მასწავლებელთა) დისციპლინური გადაცდომები და შესაბამისი პასუხისმგებლობები, რომელთა შორის არის მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული სხვადასხვა ქმედებებიც (მათ შორის - რეპუტაციის შელახვა, დისკრედიტაცია, პირადი ინფორმაციის გამჟღავნება, ზეწოლა, ძალადობა, მოსწავლის მიერ გაცდენისას მშობლისათვის შეუტყობინებლობა და ა.შ.).

შინაგანაწესში ყველაზე მოცულობითად და დეტალურად აღწერილია სკოლისა და მშობლების ურთიერთობის ნეგატიური მხარე, რაც გამოწვეულია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომებითა და შესაბამისი პასუხისმგებლობებით (მუხლები 16 და 17). ასევე აღწერილია მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოების წესი (მუხლი 19), რომელიც ხშირად დაკავშირებულია: მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებასთან, მათთან შეთანხმებულ გადაწყვეტილებებთან ან/და მათ უშუალო მოქმედებებთან.

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, რომელიც არ არის სკოლის თვითმმართველობის რომელიმე ორგანოს წევრი, სასკოლო ცხოვრებაში ლეგიტიმურად ჩართვის საშუალებებად აღწერილია მხოლოდ რეგისტრირებული განცხადებით ან საჩივრით მიმართვა სკოლისათვის (მუხლი 22). აღნიშნული განცხადებების განხილვის წესი აღწერილი არ არის.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებში (მუხლი 23) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის როლი აღწერილია მხოლოდ მოსწავლის გაკვეთილებიდან გათავისუფლების პირობებში.

ზოგადი განათლების შესახებ კანონით მოთხოვნილია (მე-9 მუხლის 6¹ პუნქტი) სკოლასა და არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ხელშეკრულების დადება. მონაწილე სკოლებში აღნიშნული ხელშეკრულებების (იხილეთ დანართი 4) შესწავლისას აღმოჩნდა, რომ:

სამივე სკოლის მშობელთან დასადები ხელშეკრულებები სრულად იდენტურია, გარდა სკოლისა და მშობლის საიდენტიფიკაციო ინფორმაციისა.

- ➔ ხელშეკრულების დადების პირობად დასახელებულია მხრეთა თანასწორუფლებიანობა და თავისუფალი ნება (მუხლი 1.4).
- ➔ ხელშეკრულების საგანია მხარეთა (სკოლა და მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) ურთიერთობების რეგულირება (მუხლი 1.2).
- ➔ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი და მისი გაცნობა უნდა დადასტურდეს მხარეთა ხელმოწერით (მუხლი 8).

- ➔ ხელშეკრულება ძირითადად აღწერს სკოლის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებსა და უფლებებს.
- ➔ სკოლის ვალდებულებები მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობაში შემოიფარგლება მხოლოდ შინაგანაწესისა (მუხლი 8) და მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით (მუხლი 3.1.3).
- ➔ ხელშეკრულების თანახმად, სკოლას აქვს ცალმხრივი უფლება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სკოლაში დაშვების თაობაზე (მუხლი 3.2.2 და 3.2.5)
- ➔ ხელშეკრულება ყველაზე მეტად და დეტალურად აღწერს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებს (მუხლი 3.3).
- ➔ ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის ურთიერთობებში არის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ცალმხრივი ვალდებულებები სკოლასთან კომუნიკაციის სფეროში (მუხლი 3.3.2, 3.3.3, 3.3.6, 3.3.11, 3.3.14, 3.3.15). უმეტეს შემთხვევაში, ეს კომუნიკაცია სკოლის მოთხოვნებისამებრ ხდება.
- ➔ ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის ურთიერთობის ეთიკური (თავაზიანობა, პატივისცემა, კეთილგანწყობის შენარჩუნება და ა.შ.) ვალდებულებები აქვთ მხოლოდ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა (მუხლი 3.3.2 და 3.3.11) და მოსწავლეს (მუხლი 3.6.1). ანალოგიური შინაარსის ვალდებულებები სკოლის მხარეს საერთოდ არ არის ნახსენები. ამგვარი მოპყრობის მოთხოვნის უფლება აქვს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (მუხლი 3.4.3)
- ➔ ხელშეკრულების თანახმად, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვს უფლება მოითხოვოს მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის ზოგადი განათლების შესახებ) დაცვა (მუხლი 3.4.1). მაგრამ ხელშეკრულება არ აღწერს ზოგადი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ (თავი II.), ამავე კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ სკოლის ვალდებულებას ინფორმირების შესახებ.

საჯარო სკოლებსა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობების მარეგულირებელი დოკუმენტები (წესდება, შინაგანაწესი და ხელშეკრულება) არ შეიცავს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლების განხორციელების პირობებსა და მექანიზმებს, გარდა გასაჩივრების (მუხლი 12) და დისციპლინის (მუხლი 19) საკითხებისა.

ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში

მშობლების ფორმალური უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაცია მივიღეთ ჯგუფური ინტერვიუების განმავლობაშიც ფოკუს ჯგუფებიდან.

კვლევის აღნიშნული მიმართულებით ფოკუს ჯგუფებში ჯგუფური ინტერვიუებით გამოჩნდა, რომ:

- სამივე სკოლაში დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებაზე უკითხავენ დამსწრეებს ხელშეკრულებას და შინაგანაწესის შესაბამის ნაწილებს, ურიგებენ მათ იქვე და ინდივიდუალურადაც ხელშეკრულებას და ითხოვენ ხელმოწერილის დაბრუნებას.
- სამივე სკოლაში დამრიგებლებს არ ჰქონიათ საჭიროება, რომ განემარტათ მშობლებისათვის კანონით გათვალისწინებული უფლებები. მხოლოდ სკოლა B-ში გაიხსენეს, რომ გასულ წელს დირექტორმა ამოხედა ეს ინფორმაცია, ხოლო დამრიგებლებმა დაურიგეს მშობლებს.
- სამივე სკოლაში დამრიგებლებს უჭირთ მშობლების უფლებების კონკრეტული დასახელება, თუმცა იციან მათი მოვალეობები. მშობლების უფლებებიდან მკაფიოდ იხსენებენ სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში მათი მონაწილეობის უფლებას.
- სამივე სკოლაში დამრიგებლები აფასებენ, რომ მშობლებთან ურთიერთობაში მათი ვალდებულებები მეტია, ვიდრე უფლებები. ისინი ასახელებენ მოსწავლის უსაფრთხოებაზე ზრუნვას, გაცდენებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირებას, მშობელთა კითხვებზე რეაგირებას.
- სამივე სკოლის დამრიგებლების შეფასებით, მშობლების უმეტესობა ყურადღებით არ ეცნობა ხელშეკრულებას და ფორმალურად ეკიდება მას.
- მშობლები სამივე სკოლაში საკუთარი უფლებებიდან მკაფიოდ გამოყოფენ მხოლოდ პედაგოგებისა და დირექციისათვის მიმართვის უფლებას, რაიმე სახის პრეტენზიის შემთხვევაში.
- სამივე სკოლის მშობლებმა იციან, რომ მათი უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები აღწერილია ხელშეკრულებასა და შინაგანაწესში.
- სამივე სკოლის მშობლები ასახელებენ, რომ უმეტესად ხელშეკრულებას სკოლიდან სახლში ატანენ მოსწავლეს და ანალოგიურად აბრუნებენ ხელმოწერილს სკოლაში.
- სამივე სკოლის მშობლების შეფასებით, მათი უმრავლესობა ყურადღებით არ ეცნობა და ინტერესდება საკუთარი უფლებამოსილებებით.
- სამივე სკოლის მშობლები ასახელებენ საკუთარი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების ნაწილს, რაც უკავშირდება: სასკოლო ქონების მოფრთხილებას, მოსწავლის დასწრებას გაკვეთილებზე, მოსწავლის აკადემიური მოსწრებითა და დისციპლინით დაინტერესებას.

სამივე სკოლაში როგორც დამრიგებლებს, ისე მშობლებს კანონიერი უფლება-მოვალეობებისა და მათი განხორციელების შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა უჭირთ: აყოვნებენ, ასახელებენ ან ძალიან ზოგად დებულებებს, ან ძალიან იშვიათ ფრაგმენტულ გამოხატულებას

ჩაღრმავებული ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან

მშობლების ფორმალური უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაცია მივიღეთ სკოლის დირექტორებთან ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან.

კვლევის აღნიშნული მიმართულებით სკოლის დირექტორებთან ინტერვიუებით გამოჩნდა, რომ:

- ყველა მონაწილე სკოლის დირექტორს უჭირს შესაბამის კითხვებზე პასუხი და მეტწილად შემოიფარგლებიან ხელშეკრულების გაცნობის შესახებ საუბრით.
- სამივე დირექტორმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების შაბლონი გადაეცათ და ჰქონდათ ფორმალური ერთჯერადი განხილვა მშობლების მცირე ჯგუფთან, თუმცა ეს არ ასახულა ხელშეკრულების შინაარსზე.
- სკოლის დირექტორებიდან მხოლოდ ერთს გაახსენდა ზოგადი განათლების შესახებ კანონით დაცული შეკრებების თავისუფლება.
- სამივე სკოლის დირექტორი არ არის დარწმუნებული მშობლების მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ კარგ ცოდნაში.
- სამივე სკოლის დირექტორს არასაკმარისად მიაჩნია მშობელთა უფლებამოსილებების შესახებ ცოდნის გავრცელების სამუშაოები.
- მხოლოდ ერთი სკოლის დირექტორს მიაჩნია, რომ მშობელთა უფლებები სკოლასთან ურთიერთობაში შეზღუდულია.

მონაწილე სკოლების მშობელთა ანკეტირება

მშობლების ფორმალური უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაცია მივიღეთ მშობელთა ანკეტირებიდან. ამ გზით მიღებული ინფორმაცია ასახავს შესაბამისი გამოცდილების სტატისკურ სურათს.


კვლევის აღნიშნული მიმართულებით მშობელთა ანკეტირებიდან გამოჩნდა, რომ:

გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ინფორმირებულია საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ. აქედან, ნახევარზე მეტი (52.3%) ფიქრობს, რომ სრულად ინფორმირებულია.

დიაგრამა 1.

8. რამდენად ხართ ინფორმირებული თქვენი უფლება-მოვალეობების შესახებ თქვენი შვილ(ებ)ის სკოლასთან მიმართებაში?

970 პასუხი




მშობლების უმრავლესობისათვის საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის წყარო არის მასწავლებლები (61.9%) და სკოლის დირექცია (27.7%).

დიაგრამა 2.

9. რომელი წარს(ებ)იდან გაქვთ მიღებული ინფორმაცია თქვენი, როგორც მშობლის, უფლება-მოვალეობების შესახებ?

970 პასუხი




გამოკითხულ მშობელთა უპირატესი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მათი უფლება-მოვალეობები აღწერილია სკოლასთან დადებულ ხელშეკრულებაში (72.7%).

დიაგრამა 3.

10. მონიშნეთ, რომელ დოკუმენტ(ებ)შია აღწერილი თქვენსა და სკოლას შორის არსებული უფლება-მოვალეობები?

970 პასუხი




გამოკითხულ მშობელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ სკოლის ხელშეკრულება აღწერს შემდეგ საკითხებს: მოსწავლის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (69.9%), დისციპლინა (44.2%), სასწავლო პროგრამები (34.3%), სწავლის რეჟიმი (22.9%) და მოსწავლეთა შეფასება (22.6%).

სკოლასთან რეალურად დადებული ხელშეკრულება აქვს მშობელთა ნახევარზე მეტს (66%), თუმცა თითქმის მეოთხედმა (23.2%) არ იცის (ან არ ახსოვს) ამის შესახებ.

დიაგრამა 4.

11. გაქვთ თუ არა გაფორმებული/ხელმოწერილი ხელშეკრულება თქვენი შვილ(ებ)ის სკოლასთან?

970 პასუხი




გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მშობელსა და სკოლას შორის უფლება-მოვალეობების ბალანსი სამართლიანად არის განაწილებული.

დიაგრამა 5.

13. თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანად არის დაცული ბალანსი მშობლისა და სკოლის უფლება-მოვალეობებს შორის?

970 პასუხი




ამავდროულად მშობელთა 2/3-ზე მეტის (67.9%) აზრით, სკოლასა და მშობელს შორის სამართლებრივი ურთიერთობები გასაუმჯობესებელია.

დიაგრამა 6.

14. თქვენი აზრით, არის თუ არა გასაუმჯობესებელი მშობელსა და სკოლას შორის
სამართლებრივი ურთიერთობა?

970 პასუხი



მშობელთა ჩართულობის რეალური პრაქტიკა

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის რეალური გამოცდილების შესასწავლად გამოვიყენეთ ფოკუს ჯგუფებიდან, დირექტორის ინტერვიუებიდან და მშობელთა ანკეტირებიდან მიღებული მონაცემები.

ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში

კლასის დამრიგებლებისა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში განხორციელებული ჯგუფური ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ:

ორივე ტიპის ფოკუს ჯგუფის წევრებს მშობელთა ჩართულობის გამოცდილებაზე საუბარი არ უჭირთ, თუმცა მეტწილად იხსენებენ ცალკეულ, არარეგულარულ შემთხვევებს.

სამივე სკოლის როგორც დამრიგებლების, ისე მშობლების ფოკუს ჯგუფებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკა უპირატესად უკავშირდება კლასგარეშე საგანმანათლებლო-შემეცნებით აქტივობებში ან/და კონფლიქტური ვითარების განმუხტვაში მონაწილეობას.

მშობლების ჩართულობა მოსწავლის სასწავლო პროგრამების ნაწილში სახელდება მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შემთხვევაში.

სამივე სკოლაში დამრიგებლები და მშობლები ვერ ასახელებენ მშობლების ჩართულობის მაგალითებს: სკოლის წესების შემუშავებაში, სკოლის ქონების განკარგვაში, სასწავლო პროგრამებისა და მეთოდების განხილვაში. ასეთ მაგალითებს უკავშირებენ მხოლოდ სამეურვეოს საბჭოს, დისციპლინური კომიტეტისა და მშობელთა კომიტეტის (სკოლა A-ს შემთხვევაში) წევრებს.

ჩადრმავებული ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან

სკოლის მართვაში მშობელთა ჩართულობას სამივე დირექტორი განიხილავს და უკავშირებს სამეურვეო საბჭოს, მათ წევრებს. აქვე, დირექტორები მსგავსად აფასებენ სამეურვეო საბჭოს ინერტულობას. გამონაკლისია სკოლა A, სადაც დირექტორის შეფასებით სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები აქტიურები არიან.

ორი სკოლის დირექტორი აღნიშნავს მშობლების ბეჯით მონაწილეობას სკოლის დისციპლინურ კომიტეტში.

სხვადასხვა მიმართულებით მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში სამივე დირექტორი აფასებს ნაკლებშედეგიანად. სამივე მათგანი ამ მდგომარეობას ხსნის მშობელთა უმეტესობაში ინტერესის უქონლობით ან/და არაკომპეტენტურობით. მათ მიერ გახსენებული კონკრეტული მაგალითები ძირითადად ნეგატიურ გამოცდილებას აღწერს.

სამიდან ორი სკოლის დირექტორი არასაკამარისად მიიჩნევს სკოლის მხრიდან გატარებულ ღონისძიებებს მშობელთა ჩართულობის გააქტიურებისა და შედეგიანობის ამაღლებისაკენ.

მონაწილე სკოლების მშობელთა ანკეტირება

მშობელთა ჩართულობის რეალური პრაქტიკის შესწავლამ მშობელთა ანკეტირებით გამოავლინა, რომ:


გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობა გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარ ჩართულობას სკოლის მართვის შემდეგ საკითხებში: მოსწავლის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ბავშვის უფლებების დაცვა და დისციპლინური წესების შემუშავება-დაცვა.

სკოლის მართვის რაიმე საკითხებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს გამოკითხულ მშობელთა მაქსიმუმ 36.5%-ს - მესამედზე ოდნავ მეტს.

დიაგრამა 7.

16. მივიღიათ თუ არა მონაწილეობა სკოლის მართვის ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებში?

970 პასუხი




გამოკითხული მშობლების სკოლის მართვაში მონაწილეობის მთავარი გამოცდილება არის საკუთარი მოსაზრების გაცნობა კლასის დამრიგებლისათვის (ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 41.2%). მხოლოდ 3%-ს გაუცვნია საკუთარი მოსაზრება დირექციისათვის. ამ ტიპისა და სიხშირის მონაწილეობის შედეგიანობა სრულად დამაკმაყოფილებელია მესამედზე ოდნავ მეტისათვის (35.5%).

დიაგრამა 8.

18. რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა თქვენს მიერ მითითებული მონაწილეობა სკოლის მართვის საკითხებში?

970 პასუხი




მშობელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მათი ინტერესების ყველაზე შედეგიანი დამცველები არიან დამრიგებლები (75.2%).

დიაგრამა 9.

19. თქვენი გამოცდილებით, ვინ არის მშობლის ინტერესების შედეგიანი დამცველი სკოლაში?

970 პასუხი




სკოლაში მშობელთა რაიმე თვითმმართველობის ორგანოს შესახებ წარმოდგენა აქვს გამოკითხულთა ნახევარზე ოდნავ მეტს (55%). სკოლის მართვაში მშობელთა მონაწილეობის ხარისხის გაუმჯობესებას ეთანხმება გამოკითხულთა მესამედზე ნაკლები (29.7%).

დიაგრამა 10.

21. თქვენი აზრით, არის თუ არა გასაუმჯობესებელი სკოლის მართვაში მშობელთა მონაწილეობის ხარისხი?

970 პასუხი



მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის პრაქტიკა

მშობელთა ჩართულობის მოტივაციისა და მისი წახალისების გამოცდილების შესწავლისას გამოვლინდა ქვემოთ მოტანილი შედეგები.

ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში

მონაწილე სკოლების ორივე ტიპის ფოკუს ჯგუფებში მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის გამოცდილების აღწერა გაუჭირდათ. გაიხსენეს მხოლოდ ერთეული შემთხვევები, რაც ძირითადად უკავშირდება კლასგარეშე აქტივობების/ღონისძიებების ორგანიზებას.

ჩადრმავებული ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან

სამივე დირექტორს მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის გამოცდილების აღწერა გაუჭირდათ. გაიხსენეს მხოლოდ ერთეული შემთხვევები, რაც ძირითადად უკავშირდება კლასგარეშე აქტივობების/ღონისძიებების ორგანიზებას.

სკოლა C-ს დირექტორმა გაიხსენა ერთი შემთხვევა, როდესაც მშობელთა ერთი მცირე ჯგუფის ინიციატივით მოეწყო საქველმოქმედო აქცია სოფელში მცხოვრები გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად.

მონაწილე სკოლების მშობელთა ანკეტირება


მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის გამოცდილების რაოდენობრივი მაჩვენებლები მწირია.

სკოლისათვის რაიმე სახის ინიციატივა ჰქონია მშობელთა მხოლოდ 16.7%-ს.

დიაგრამა 11.

22. გქონიათ თუ არა რაიმე ინიციატივები თქვენი შვილ(ებ)ის სკოლისათვის?

970 პასუხი




მშობელთა უმცირესობის ინიციატივები ძირითადად უკავშირდებოდა: სკოლის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას, კლასგარეშე აქტივობების სიხშირის გაზრდას, მოსწავლეთა შეფასების დროულ შეტყობინებას.

მშობელთა შორის ინიციატივების უქონლობის მიზეზებს შორის დაწინაურებულია იდეის დეფიციტი.

დიაგრამა 12.

24. გთხოვთ მოწინააღმდეგეები, რატომ არ გქონიათ ინიციატივები.

783 პასუხი




ამავდროულად გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობა (3/4-ზე მეტი) დარწმუნებულია, რომ მშობლების ინიციატივები მოსწავლის განათლებისა და სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებისათვის სასარგებლოა.

დიაგრამა 13.

26. რამდენად სასარგებლოა მშობლების ინიციატივები მოსწავლის განათლებისა და სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებისათვის?

970 პასუხი



მშობლებთან კომუნიკაციის ფორმები და შინაარსი

მშობლებთან კომუნიკაციის ფორმებსა და შინაარსზე რაოდენობრივად მეტ ინფორმაციას გვამძღვრებს მოპოვებული მონაცემები. მათი ანალიზის შედეგები კი ასეთია:

მონაწილე საჯარო სკოლებისა და მშობლების ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტები

მონაწილე სკოლებისა და მშობლების ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტებში ასახულია კომუნიკაციის ფორმები და შინაარსი. როგორც შინაგანაწესებში, ისე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებულ ხელშეკრულებაში მეტწილად ვხვდებით პირისპირ შეხვედრის ფორმებს, რომელთა ინიციატორი შეიძლება იყოს სკოლა. თუმცა, ამგვარი შეხვედრებისა და განხილვების შინაარსი უმეტესად უკავშირდება მოსწავლის დასწრებასა და დისციპლინარულ გადაცდომებს.

მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და პროგრესთან დაკავშირებული კომუნიკაციის ინიციატივა გადატანალია მშობლის მოვალეობათა ნაწილში.

სასწავლო პროგრამებთან, სკოლის სამოქმედო გეგმებთან, სკოლის რესურსების მართვასთან, სწავლის მეთოდებთან დაკავშირებული შინაარსის რეგულარული კომუნიკაცია საერთოდ არ არის ნახსენები აღნიშნულ დოკუმენტებში.

ჯგუფური ინტერვიუები კლასის დამრიგებელთა და მშობელთა ფოკუს ჯგუფებში

სამივე სკოლის კლასის დამრიგებლების შეფასებით, მშობელთა მხრიდან კომუნიკაციის მთავარი მოტივია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და შესაბამისი პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიღება.

სამივე სკოლის დამრიგებლები აღნიშნავენ, რომ ინდივიდუალური და ხშირი კომუნიკაციისათვის იყენებენ სატელეფონო კავშირსა და სოციალურ ქსელებს ინტერნეტში. მათი თქმით, ამ საშუალებებით კომუნიკაციის სიხშირე და შინაარსი დამოკიდებულია მშობლის ან დამრიგებლის საჭიროებაზე.

სკოლებში A და B მშობლებთან რეგულარული, სტრუქტურირებული კომუნიკაციის პრაქტიკა ძირითადად გამოხატულია კვირაში ერთი დღის დაწესებით მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრებისათვის. ასევე, სემესტრში მინიმუმ 2-ჯერ მშობელთა კრებების მოწვევა (ძირითადად სემესტრის დასწყისსა და ბოლოში). აღნიშნულ ორ სკოლის კლასის დამრიგებლების საერთო გამოცდილებას თვალსაჩინოდ გამოხატავს ერთ-ერთი რესპოდენტი:

„მშობლების მხრიდან ძირითადი ინტერესი აკადემიური მოსწრება და შეფასებაა. ჩვენც გვინტერესებს, რა თქმა უნდა, ეს შედეგები, თუმცა ამავე დროს ჩვენი ინტერესი გადის დისციპლინაზე, მოსწავლეთა შორის ურთიერთობაზე, კონფლიქტებზე. რის გამოც ვუკავშირდებით ხოლმე მშობლებს. არის ასევე გარკვეული პროექტები, ღონისძიებები, როცა

მშობელთა ჩართულობაც გვჭირდება ხოლმე და ამ შემთხვევაშიც ვუკავშირდებით. ჩვენი მხრიდან უფრო ფართო სპექტრი კომუნიკაციის, ვიდრე მშობლების მხრიდან, სამწუხაროდ. ინიციატივები რაღაც პროექტებზე და იდეები ნაკლებად მოდის ხოლმე. ძირითადად, სწავლა, შეფასება, მოდი ასე ვიტყვი, არა მაინც და მაინც განათლების ხარისხი.“

მშობლებთან პოზიტიური მიზეზით დამრიგებლებიდან ინიცირებული შეხვედრების მხოლოდ ერთეული შემთხვევები გაიხსენეს სკოლებში A და B. ასევე, სკოლაში A მშობლებმა გვიპასუხეს, რომ გეგმიური შეხვედრები თვეში ერთხელ ჰქონდათ დანიშნული.

განსხვავებული ვითარებაა სკოლაში C - აქ მშობლებთან ინდივიდუალური, რეგულარული შეხვედრებისათვის გამოყოფილია თვეში ერთი დღე, თუმცა კრებებსაც ამავე სიხშირით იწვევენ, მიაჩნიათ რომ ამის საჭიროება არის:

„კრებაზე განვიხილავთ მაგალითად, როგორ შევუწყოთ ხელი რომ ბავშვი იყოს აქტიური. რა არის მოსწავლის მოვალეობები. სისუფთავის, ჰიგიენის დაცვა სკოლაში. მოსწავლის კოდექსს ვაცნობთ სწავლის დასაწყისში. რამდენად უნდა იყოს მშობელი ჩართული ბავშვის აღზრდა-განათლებაში. არის სხვა საკითხებიც და არ მახსენდება ახლა. თუ მაგალითად გაცდენები კლასში ტენდენციად იქცა, ზოგადი თვალსაზრისით, რა თქმა უნდა კრებაზეც ვმსჯელობთ. კონკრეტულ დროს დღის წესრიგში რაც არის და რისი საჭიროებაც დგას, იმ საკითხებზე ვმსჯელობთ. იქ მშობელიც რაღაცას იტყვის, რაღაც აზრი იქნება. ექსკურსიებთან დაკავშირებით ვგეგმავდით ხოლმე კრებებზე.“

მხოლოდ სკოლა C -ს დამრიგებლებმა აღნიშნეს, რომ მშობლის დაბარება სკოლაში არ ხდება მხოლოდ ნეგატიური მოტივით:

„მაშინაც ვიბარებთ მშობლებს, როცა კარგად იქცევა მოსწავლე. მაგალითად ახლა რაც მახსენდება, არის ბავშვი, რომელიც ძალიან მოწესრიგებულია. არ აგვიანებს, გაკვეთილებს სწავლობს და შესაბამისად პედაგოგები მის მიმართ დადებითად არიან განწყობილნი მისი საქციელის და სწავლის გამო. მადლობის სათქმელად დავიბარებთ მისი მშობელი. ცელქი ბავშვების შექების შემთხვევებიც გვქონია, რომელიც მათ დიდ სტიმულს აძლევს.“

ქლაქების სკოლებისგან განსხვავებით, სოფლის სკოლის დამრიგებლებმა აღნიშნეს, რომ მშობლები არ ერიდებიან როგორც კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმას სკოლის მიმართ, ისე ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებით დახმარების თხოვნას.

დამრიგებლები სამივე სკოლიდან აღნიშნავენ, რომ სასწავლო წლის დასაწყისში გამართულ მშობელთა კრებაზე ისინი აცნობენ მშობლებს შინაგანაწესსა და ხელშეკრულებას, განუმარტავენ მოსწავლეებისა და მათ უფლებამოსილებებს. თუმცა, ამ პასუხებს ისინი იძლეოდნენ დამაზუსტებელი შეკითხვის შემდეგ. ხოლო თავდაპირველ შეკითხვაზე უფრო ხშირად პასუხობდნენ, რომ აცნობენ სასკოლო წესებსა და ხელს აწერინებენ წიგნებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას. მშობლებიც სამივე სკოლაში ამას ადასტურებენ:

„ძირითადად სასწავლო წლის პროცესი. წიგნები. რა წიგნები გვექნებოდა, რომ უნდა მოვუფრთხილდეთ მათ. შინაგანაწესს გვაცნობდა დამრიგებელი. ერთი პერიოდი ჩაცმულობის საკითხიც იდგა დღის წესრიგში და მერე აღარ.“

სკოლაში A მშობლებმა გვიპასუხეს, რომ დირექტორის მოადგილე მართავდა ყველა კლასის მშობლებთან ცალკე შეხვედრებს ბუღინგთან დაკავშირებით.

სკოლაში B მშობლების მიერ საკომუნიკაციო სიხშირე სხვადასხვანაირად ხასიათდებოდა. ყველა შემთხვევაში, ძირითადი კომუნიკატორი კლასის დამრიგებელია და ისინი საკმარისად მიიჩნევენ სკოლის მხრიდან გაწეულ ძალისხმევას.

სკოლაში C მშობლები დამრიგებლების მსგავსად აღწერენ კომუნიკაციის სიხშირესა და შინაარსს. ამას გარდა, ხშირად ახსენებენ მათთან სკოლის დირექტორის კომუნიკაციას, ძირითადად სასწავლო გარემოს, სასკოლო ფორმის შერჩევასა და კლასგარეშე აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით.

სამივე სკოლის მშობლები ადასტურებენ სოციალური ქსელების გამოყენებით დამრიგებლებთან კომუნიკაციის სიხშირესა და მოხერხებულობას.

სამივე სკოლის დამრიგებლები და მშობლები რიგგარეშე საჭიროებით გამოწვეულ კომუნიკაციას უკავშირებენ რაიმე სახის კონფლიქტურ სიტუაციას, რაშიც აღმოჩნდა მოსწავლე ან კლასი.

სამივე სკოლის დამრიგებლები და მშობლები ვერ იხსენებენ კომუნიკაციას სასკოლო წესებისა თუ სასწავლო პროცესის კომპონენტების (პროგრამა, სახელმძღვანელო, დატვირთვა და ა.შ.) შეთანხმების შესახებ: „თვითონ საგანმანათლებლო სისტემიდან მოდის გადაწყვეტილებები ასეთ საკითხებზე და ჩვენ ვერ ვერევი.“

ჩადრმავებული ინტერვიუები მონაწილე სკოლების დირექტორებთან

მშობლებთან კომუნიკაციის ნაწილში სამივე სკოლის დირექტორი მსგავსად ახასიათებს მშობელთა დაბალ მოტივაციას. მათი დახასიათებით, მშობლები ძირითადად ინტერესდებიან მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებით (ნიშნებით) და მცირე ნაწილი კლასგარეშე აქტივობებით. სამივე სკოლის დირექტორის დახასიათებით, მშობლები არ ინტერესდებიან სკოლის მართვაში მათი უფლებამოსილებებითა და შესაძლებლობებით. თუმცა, ისინი ადასტურებენ, რომ ამ მხრივ სკოლის მხრიდან მშობლების აქტიური ინფორმირება არ ხდება.

სკოლა C-ს დირექტორის ინიციატივით, შექმნილია მშობელთა ნებაყოფილობითი მცირე კლუბი. ამ კლუბთან მას აქვს ყოველთვიური შეხვედრები, რათა ჰქონდეს მშობელთა საზოგადოებასთან რეგულარული უშუალო კავშირი. ამას გარდა, ხშირად თავად მონაწილეობს ხოლმე დამრიგებლების მიერ ორგანიზებულ მშობელთა საერთო შეხვედრებში (მეტწილად სასწავლო წლის დასაწყისში). ამ სკოლის დირექტორთან ცალკეულ მშობელთან შეხვედრა, რაიმე საჭიროების საფუძველზე, არ არის შეზღუდული და მშობლები ამ საშუალებით სარგებლობენ. საგულისხმოა სკოლა C-ს დირექტორის განმარტება კლასის დამრიგებლებთან დაკავშირებით:

„ზოგადად სკოლებს, ერთი რამ სჩვევიათ კლასის დამრიგებლებს - პრობლემის დამალვა და მშობელი შენამდე არ უნდა მოუშვას. რას ამბობ, მე რისთვის ვარ აქ, მე ვერ მოვაგვარებ?! აი, ასეთი დამოკიდებულება არის, სამწუხაროდ. სულ მიწევს იმაზე საუბარი, რომ პრობლემა უნდა იყოს გახსნილი. ერთად უნდა დავსახოთ გადაჭრის გზები. ეს იციან ჩემმა მშობლებმა და მოდიან ხოლმე ხანდახან ჩემთან.“

აღსანიშნავია, რომ სკოლა A-ს დირექტორიც აღწერს მშობელთა კლუბის ინსტიტუტს, როგორც დამაკავშირებელ რგოლს. ასევე ისიც ხაზს უსვამს კლასის დამრიგებელთა მნიშვნელოვან ნაწილში სტერეოტიპულ აზროვნებას მშობლებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ის ერთი მხრივ აღწერს დირექციის მაღალ მოტივაციას მშობლებთან ჯანსაღი, ორმხრივი კომუნიკაციისა და თანამონაწილეობის სისტემის ჩამოყალიბების შესახებ. მეორე მხრივ იგივე დირექტორი, აღნიშნული ჩანაფიქრის რეალიზაციაში დაბრკოლებად მიიჩნევს ამ საქმიანობის დიდ მოცულობას (2020 მოსწავლე), მშობელთა დიდი ნაწილის ინერტულობასა და ზემოხსენებულ სტერეოტიპულ დამრიგებლებს. თუმცა, დირექტორი აღნიშნავს მშობელთა გაზრდილ დაინტერესებას სასკოლო რეგულაციებით მიმდინარე სასწავლო წელს, წინასთან შედარებით. ამას იგი უკავშირებს COVID-19 პანდემიით გამოწვეულ ცვლილებებს სასწავლო პროცესში, რამაც ოჯახების თანამონაწილეობა და პასუხისმგებლობა გაზარდა.

სკოლა B-ს დირექტორი, დანარჩენი ორი კოლეგის მსგავსად არ არის დარწმუნებული, რომ კლასის ყველა დამრიგებელი ერთნაირად კარგად ართმევს თავს მშობლებთან კომუნიკაციის ამოცანას. ეს დირექტორი, მისი თქმით უფრო ხშირად მიმართავს მშობელთა გამოკითხვებს:

„ერთ-ერთი ბოლო კვლევისას, გამოიკვეთა, რომ მშობელთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ყურადღებას კლასებისთვის თანაბრად ვერ ვანაწილებდი. ზოგს მეტად ვაქცევდი ყურადღებას, რის ხარჯზეც სხვებს აკლდებოდათ. მერე გადავწყვიტე, რომ ყველა კლასში თითო გაკვეთილი ჩამეტარებინა, მიუხედავად იმისა, ვასწავლიდი იმ კლასს თუ არა. დირექტორის გაკვეთილი დავარჯევი და ვატარებდი ყველგან. აი, ეს ნაკლოვანება მენიშნა. მშობლებისგან კარგი სიგნალი იყო წამოსული. მე მეგონა, რომ ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი ვიყავი, თუმცა აღმოჩნდა, რომ ასე არ იყო. მშობლების ნაწილი ასე არ თვლიდა. მშობლებისგან მივიღე ეს სიგნალი და დავიწყე მოქმედება.“

სკოლა B-ს შემთხვევაშიც, მშობლის ინიციატივით დირექტორთან უშუალო შეხვედრა შეუზღუდავია, თუმცა ეს საშუალება მშობლების მხრიდან უფრო მეტად რაიმე პრეტენზიების განსახილველად გამოიყენება.

სამივე სკოლის დირექტორი სკოლის მხრიდან მშობლებთან პროაქტიურ კომუნიკაციას ერთნაირად არასაკმარისად აფასებს, თუმცა იქვე აღნიშნავენ მეორე მხარის დაბალ მოტივაციასაც. სამივე სკოლის დირექტორი დადებითად აფასებს მათ მიერ გაწეულ საინფორმაციო სამუშაოს სამეურვეო საბჭოების არჩევნების წინ, მშობელთა უფლებებისა და სკოლის მართვაში მათი მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ.

დირექტორები დადებითად აფასებენ სკოლის Facebook-გვერდის გამოყენებას კომუნიკაციისათვის, თუმცა არაფერს ამბობენ ვებ-გვერდის შესახებ.

მონაწილე სკოლების მშობელთა ანკეტირება


მშობელთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ 62%-სათვის ბავშვის სასკოლო ცხოვრების შესახებ ძალიან ხშირად ინფორმაციის ძირითადი წყარო არის კლასის დამრიგებელი, 20%-თვის ბავშვი ან მისი თანაკლასელი და მხოლოდ 10%-თვის საგნის მასწავლებელი.

სკოლასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის გაცვლის რეგულარულ საშუალებებიდან ყველაზე მეტად კვლავ მშობელთა კრებებს, სატელეფონო კავშირსა და სოციალურ ქსელებს იყენებენ.

დიაგრამა 14.

29. სკოლასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გაცვლის რომელ საშუალებებს იყენებთ რეგულარულად?

970 პასუხი



სკოლიდან მიღებული ინფორმაციის შინაარსი, ძირითადად უკავშირდება: მოსწავლის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ბავშვის უფლებების დაცვას, დისციპლინარული წესების დადგენასა და შეფასებას, მოსწავლის აკადემიურ შეფასებას.


მშობელთა მხოლოდ 2%-ს აქვს დაბრკოლება პედაგოგებთან და სკოლის დირექციასთან ურთიერთობაში.

გამოკითხულთა შეფასებით, სკოლიდან მიღებული ინფორმაციის ხასიათი უმეტესად დაბალანსებულია (დადებითი-უარყოფითი):

დიაგრამა 15.

33. ბავშვის შესახებ უმეტესად რა ხასიათის ინფორმაციას იღებთ სკოლისგან?

970 პასუხი




- მხოლოდ პოზიტიურს
- მხოლოდ ნეგატიურს.
- იწყება პოზიტიური ინფორმაციით და მხოლოდ ამის შემდეგ მატყობინებენ უსიამოვნო ცნობას.
- დიდ დროს ეთმობა ბავშვის შესახებ ნეგატიურ ცნობებს და ნაკლებ მნიშვნელობა ენიჭება მის მიღწევებს.
- ყოველთვის დაბალანსებული ცნობებს მაწვდიან.

მშობელთა უმეტესობისათვის სკოლასთან კომუნიკაციის ყველაზე მისაღები მეთოდებია პირისპირ ინდივიდუალური შეხვედრები და სატელეფონო კავშირი. ამასთან, მშობელთა უმრავლესობისათვის სასურველია, რომ მშობელთა კრებები ჩანაცვლდეს ინდივიდუალური შეხვედრებით.

დიაგრამა 16.

36. ისურვებდით თუ არა მშობელთა კრება ჩანაცვლდეს მშობლებისა და მასწავლებლების ინდივიდუალური შეხვედრებით, რათა შემცირდეს ბავშვის პერსონალური მონაცემების გაცემის რისკები.

970 პასუხი



- დია
- არა
- მიჭირს პასუხის გაცემა


მშობელთა უმრავლესობა სკოლაში პრობლემების არსებობის შესახებ ინფორმაციას საწის ეტაპზე იღებს (91.2%).

მშობლების ვიზიტები სკოლაში განსხვავებული სიხშირეებითა და მოტივებით ხასიათდება.

დიაგრამა 17.

38. რა სიხშირით მიდიხართ სკოლაში?


970 პასუხი



დიაგრამა 18.

39. სკოლაში მიდიხართ, მხოლოდ იმ შემთხვევაში

970 პასუხი




გამოკითხულთა შეფასებით, სკოლასა და მათ შორის კომუნიკაციის ინიციატივა უმეტესწილად კლასის დამრიგებლებისგან მოდის.

დიაგრამა 19.

40. უფრო ხშირად ვინ არის თქვენსა და სკოლას შორის კომუნიკაციის ინიციატორი?

970 პასუხი




საგულისხმოა, რომ მშობელთა უმრავლესობა თავს არიდებს სკოლისათვის შეტყობინებას ბავშვთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

დიაგრამა 20.

41. გიცნობებით თუ არა დირექციისთვის/მასწავლებლისთვის, პრობლემა როცა გქონიათ?


970 პასუხი



იმავედროულად, სკოლისათვის გაზიარებული პრობლემების მოგვარების მაჩვენებელი მაღალია.


დიაგრამა 21.

42. მოგვარდა თუ არა პრობლემა, მას შემდეგ რაც თქვენ დასვით ეს საკითხი
970 პასუხი



გამოკითხულ მშობელთა 41.4%-მა არ იცის, სკოლაში მათ სიხარულით ელიან თუ არა.
დიაგრამა 22.

43. თქვენი აზრით სკოლაში სიხარულით გელოდებიან?
970 პასუხი




მშობლების უმეტესობა სკოლასთან კომუნიკაციით კმაყოფილია, მაგრამ გაუმჯობესებაც სურს.

დიაგრამა 23.

44. რამდენად კმაყოფილი ხართ სკოლასთან კომუნიკაციით?


970 პასუხი



დიაგრამა 24.

45. თქვენი აზრით, არის თუ არა გასაუმჯობესებელი სკოლაში მშობელთან კომუნიკაციის ხარისხი?

970 პასუხი



დასკვნები და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევის ნაერთი შედეგები, სამი სხვადასხვა ტიპური საჯარო სკოლის შემთხვევაში, გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ➔ სკოლისა და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებრივი ურთიერთობები რეგულირდება მკაცრად ცენტრალიზებული მართვის ვერტიკალით;
- ➔ მშობელთა უფლებამოსილებების შესახებ ცოდნის უფლების სავალდებულო განხორციელება ვერ ფარავს კანონით დადგენილი უფლებების უმეტეს ნაწილს;
- ➔ სკოლისა და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებრივი ურთიერთობების უდიდესი ნაწილი არ არის ინსტიტუციონალიზებული საჯარო სკოლებში მათი ავტონომიურობისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით;
- ➔ საჯარო სკოლების თანამშრომლებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უმრავლესობამ არ იცის კანონით დადგენილი საკუთარი უფლება-მოვალეობებისა და მათი განხორციელების გზების შესახებ;
- ➔ სკოლასა და მშობლებს შორის ურთიერთობებში ძალაუფლების სიმბიზის ცენტრი არის სკოლაში.
- ➔ სკოლასა და მშობლებს შორის ურთიერთობები უპირატესად დამოკიდებულია: 1. სკოლის დირექტორის მოტივაციაზე, პიროვნულ თვისებებსა და კომპეტენციაზე; 2. კლასის დამრიგებლების პიროვნულ თვისებებსა და კომპეტენციაზე;
- ➔ მშობელთა რეალური ჩართულობა და ინიციატივები სკოლის ცხოვრებაში შეზღუდულია მხოლოდ: სკოლის მიერ ინიცირებულ კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობით; მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმირებულობით;
- ➔ მშობელთა ინიციატივიანი ჩართულობა სკოლის მართვის სხვადასხვა საკითხში ნეგატიურად აღიქმება სკოლების მხრიდან;
- ➔ მშობლების უმრავლესობამ არ იცის, როგორ შეიძლება ჩაერთოს სკოლის ცხოვრებაში.
- ➔ მშობელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სამართლებრივი ურთიერთობები სკოლასთან გასაუმჯობესებელია და მათი ინიციატივები სასარგებლოა მოსწავლეთა განათლებისათვის.
- ➔ სკოლასა და მშობელს შორის რეგულარული, სტრუქტურირებული კომუნიკაცია შეზღუდულია ფორმებითაც და შინაარსითაც. ძირითადი კომუნიკატორი არის კლასის დამრიგებელი.
- ➔ სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაცია უპირატესად მიმართულია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ქცევის მეთვალყურეობაზე.
- ➔ მშობელთა უმეტესობისათვის სასურველია კომუნიკაციის მეტად პერსონალიზაცია.
- ➔ სკოლების მხრიდან მშობლების პროაქტიური ინფორმირება მათი უფლებამოსილებებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის შესახებ არ არის სისტემური და უფრო ფრაგმენტული ექსპერიმენტების ხასიათი აქვს.
- ➔ მოსწავლეთა რიცხოვნობის მატებასთან ერთად მცირდება სკოლასა და მშობლებს შორის კომუნიკაციის ხარისხი.

- ➔ სკოლების მიერ მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის სისტემის ჩამოყალიბებას აფერხებს სკოლის შეზღუდული ადმინისტრაციული ავტონომია - საჯარო სკოლის მმართველობა მეტად დამოკიდებულია სამინისტროზე და შესაბამისად მის კონტროლზე, ვიდრე მშობელსა და ადგილობრივ თემზე.
- ➔ მშობლები მცირედ არიან ინფორმირებული საკუთარი უფლებამოსილებებისა და სკოლაში ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ.

განხორციელებული კვლევის, მისი შედეგებისა და დასკვნების გათვალისწინებით რეკომენდებულია:

- ✓ საჯარო სკოლების დირექციებმა და სამეურვეო საბჭოებმა ერთობლივად დაიწყონ სკოლის ფუძემდებლური მარეგულირებელი დოკუმენტების (წესდება, შინაგანაწესი და ხელშეკრულება) შემუშავების თანმიმდევრული და ფართო მონაწილეობითი პროცესი. ამ პროცესის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს სასკოლო საზოგადოების წევრთა ყველა კანონიერი უფლების რეალიზაციის ავთენტური დამაზუსტებელი პირობები და მექანიზმები. ეს ერთი მხრივ, უნდა გახდეს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ინფორმირებული და შედეგიანი ჩართულობის ფუძემდებლური პრაქტიკა. მეორე მხრივ, საბოლოოდ ჩამოყალიბებული ურთიერთქმედების შინაარსი და მექანიზმები იქნება კონკრეტული სკოლისა და მისი საზოგადოების ავთენტური ასახვა. მესამე მხრივ, ამ პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა უზრუნველყოფს მისი შედეგებისადმი სასკოლო საზოგადოების ნდობას.
- ✓ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა შედეგიანი ჩართულობის გასაზრდელად, სკოლის დირექციამ, სამეურვეო საბჭომ და პედაგოგიურმა საბჭომ ერთობლივად უნდა შეიუშავონ: მშობელთა პროაქტიური რეგულარული და სრულფასოვანი ინფორმირების მექანიზმები, ასევე მშობლებთან ორმხრივი და პერსონალიზებული კომუნიკაციის მექანიზმები.
- ✓ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის კარგი პრაქტიკის გავრცელების, დანერგვისა და ინსტიტუციონალიზაციის ხელშესაწყობად, ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისათვის“ შექმნას გამოცდილების რეგულარული გაზიარების პლატფორმა. ამგავრი ინიციატივის მხარდაჭერის, ეფექტიანობისა და მდგრადობისათვის უკეთესი იქნება სხვა მოტივირებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (მაგ: სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია, სახალხო დამცველის ოფისი და სხვა).